მარნეულის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის

# ო ქ მ ი № 2

ქ. მარნეული 22.07.2022 წელი

**სხდომის თავმჯდომარე:** კენან ომაროვი/ მუნიციპალიტეტის მერი/

**სხდომის მდივანი:** ლარისა გელაშვილი /ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების უფროსი/

**სხდომას ესწრებოდნენ:** როინ დეკანოიძე/მერის პირველი მოადგილე/, თემური შუბითიძე /მერის მოადგილე/ ზურაბ ფანგანი /მერის მოადგილე/, ვუგარ მამედოვი /საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/, დავით ხარშილძე / ქონების მართვისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ./, ბექა აბდელანი/ ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი/, ილია ყალაბეგაშვილი /ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის,არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი/, გიორგი მეურმიშვილი / ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი /.

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი განხილვა; /მომხს.ვ.მამედოვი/

**მოისმინეს:** საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა წარმოადგინა 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი , სადაც გათვალისწინებული იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ N 04-03/64697, 14/07/2022 წერილით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 77-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 96-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე მოწოდებული 2023-2026 წლების ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები და მაკროეკონომიკური პროგნოზები, კერძოდ რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო წლიური ინფლაციის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ), ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი.

სიტყვით გამოვიდნენ:

მუნიციპალიტეტის მერმა, კენან ომაროვმა აღნიშნა, რომ 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი იქნება ბაზა საბიუჯეტო პროცესის შემდგომი ეტაპებისათვის და დაავალა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს იმოქმედოს სრულ კოორდინაციაში მერიის სამსახურებთან და საბიუჯეტო დაწესებულებებთან, რათა დადგენილ ვადებში მომზადდეს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა.

**აზრი გამოთქვეს:**

სამუშაო ჯგუფის წევრებმა გამოხატეს მზაობა იმოქმედონ შეთანხმებულად საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან ერთად და მათ დაქვემდებარებაში არსებული პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძიებების ზღვრული მოცულობების ფარგლებში წარმოადგინონ პროექტები საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმაში შესატანად.

**დაადგინეს:** მოწონებულ იქნას მარნეულის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი და მუნიციპალიტეტის სამსახურებმა გააგრძელონ მუშაობა საბიუჯეტო კალენდრის მიხედვით.

სხდომის თავმჯდომარე: კენან ომაროვი

სხდომის მდივანი: ლარისა გელაშვილი

სხდომის დამსწრეები:

მერის პირველი მოადგილე როინ დეკანოიძე

მერის მოადგილე თემურ შუბითიძე

მერის მოადგილე ზურაბ ფანგანი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი

ინფრასტრუქტურის და ეკონომიკის განვითარების სამსახურის უფროსი ბექა აბდელანი

ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი ილია ყალაბეგაშვილი

ქონების მართვისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ. დავით ხარშილაძე

ჯანდაცვის,სოციალური უზრუნველყოფის,კულტურის, სპორტის,ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი გიორგი მეურმიშვილი